შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლა
დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 26 სექტემბრის №გ25-37 ბრძანების
დანართი №3-ის შესაბამისად

შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის პროფესიული ორიენტაციის კლუბის დებულება

მუხლი I. ზოგადი დებულებები

წინამდებარე დებულება (შემდ.-დებულება) განსაზღვრავს შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართულ სკოლასთან არსებულ პროფესიული ორიენტაციის კლუბის (შემდგომში-პროფორიენტაციის კლუბი) მუშაობის ძირითად პრინციპებს, საქმიანობის მიმართულებებს, კლუბის ლიდერისა და წევრების უფლება-მოვალეობებს.

მუხლი II. პროფორიენტაციის კლუბის მთავარი მიზნებია:

1.მოზარდი თაობის განვითარება, მათი ფიზიკური, ინტელექტუალური, ემოციური, სოციალური პოტენციალის სრულად გამოვლენის გზით;
2.მოსწავლეებში პროფესიული ინტერესების ჩამოყალიბება და პრაქტიკული ჩვევების დაუფლება;
3.მოზარდი თაობის თვითგამოხატვისა და საკუთარი თავის დამკვიდრებისთვის პირობების შექმნა.

მუხლი III. პროფორიენტაციის კლუბის ფუნქციებია:

1. სკოლის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის კონცეფციის განხორციელება.
2.დაგეგმვა, ორგანიზება და კოორდინირება სხვადასხვა ტიპის ახალგაზრდული ღონისძიებების, რომლებიც მიმართულია მოსწავლეებში პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობისკენ;
3.სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით სამთავრობო, არასამთავრობო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა;
4. ახალი და ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოზარდი თაობის თვითგამოხატვისა და საკუთარი თავის დამკვიდრების პირობების შექმნას.

მუხლი IV. პროფორიენტაციის სასკოლო კლუბის პრინციპები

სასკოლო კლუბი დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:
ა)სანდოობა
ბ)კეთილსინდისიერება
გ)სამართლიანობა
დ)ერთგულება
ე)გულისხმიერება
ვ)შრომისმოყვარეობა

მუხლი V. პროფორიენტაციის კლუბის წევრობა, წევრთა უფლება-მოვალეობანი

1. კლუბის საქმიანობა ემყარება დემოკრატიას და ნებაყოფლობითობას და აერთიანებს შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც იცნობენ კლუბის დებულებას.

2.კლუბის წევრი შეიძლება იყოს შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის ნებისმიერი მოსწავლე, განურჩევლად სქესისა, რასისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და სოციალური მდგომარეობისა, რომელიც აღიარებს წინამდებარე დებულებას და მონაწილეობას მიიღებს კლუბის საქმიანობაში.

3.კლუბის წევრობის მსურველმა სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა საბჭოს მიერ სკოლის ძირითადი კორპუსის პირველ სართულზე არსებულ საინფორმაციო დაფაზე გამოკრულ „მსურველთა სიაში“ შეიყვანოს საკუთარი სახელი და გვარი და კლასი.

4.კლუბის წევრი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა კლუბის საქმიანობაში, დაიცვას დებულების მოთხოვნები, შეასრულოს დავალებები და კლუბის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

5. კლუბის ყველა წევრი სარგებლობს თანაბარი უფლება-მოვალეობებით, გარდა დებულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6.კლუბის წევრი შეიძლება იყოს სკოლის საბაზო ან საშუალო საფეხურის მოსწავლე;

7.კლუბის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე.

ბ) როცა მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება კლუბის მიზნებს და უხეშად არღვევს აღნიშნულ დებულებას;

გ) სკოლიდან მოსწავლის ამორიცხვის/სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში.

8. კლუბის წევრს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა კლუბის ლიდერის არჩევნებში;

9.კლუბის წევრი ვალდებულია:

ა)დაიცვას კლუბის დებულება და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

ბ)გაუფრთხილდეს კლუბის ღირსებასა და ავტორიტეტს;

გ)აქტიური მონაწილეობა მიიღოს კლუბის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა და საკუთარი წვლილი შეიტანოს კლუბის ეფექტურ ფუნქციონერებაში.

მუხლი VI. პროფორიენტაციის კლუბის ლიდერი

1. კლუბის ლიდერი ირჩევა ფარული კენჭისყრის საფუძველზე, ერთი წლის ვადით კლუბის წევრების მიერ;

2. კლუბის ლიდერის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვთ კლუბის წევრებსა და კლუბის კურატორს;

3. კლუბის ლიდერის უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება შესაბამისად ახალი ლიდერის არჩევამდე.

მუხლი VII. კლუბის ლიდერი:

1. წარმართავს კლუბის საქმიანობას;
2. ხელმძღვანელობს და უძღვება სამუშაო შეხვედრებს;
3. წარმოადგენს კლუბს მესამე პირებთან ურთიერთობაში;
4. კლუბის წევრებთან ერთად ქმნის კლუბის გრძელ- და მოკლევადიან სამუშაო გეგმას;
5. ისმენს კლუბის წევრების მოსაზრებებს, წინადადებებსა და ანგარიშებს;
6. კლუბის წევრებთან ერთად განსაზღრავს ღონისძიებების დეტალურ გეგმასა და საჭიროებებს;
7. ხელმძღვანელობს პროფესიული ორიენტაციის პროგრამების მიმდინარეობის პროცესს სკოლის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის მენეჯერთან ერთად;
8. უზრუნველყოს საინფორმაციო კამპანიების, დებატების ორგანიზების, სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე და სათემო პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული აქტივობების, სპეციალური სტუმრების მოწვევის, ტრენინგების, სემინარების, სადისკუსიო კლუბის შეხვედრების, ადვოკატირების კამპანიების დაგეგმვასა და განხორციელებას;
9. თითოეული ღონისძიების დასრულების შემდეგ ამზადებს მოკლე ანგარიშს;
10. ასრულებს სხვა ფუნქციებს, საჭიროების შემთხვევაში.

მუხლი VIII.პროფორიენტაციის კლუბის კურატორი

1. პროფორიენტაციის კლუბის კურატორი სკოლის ადმინისტრაციის წარმოადგენელია-ადმინისტრირებისა და მონიტორნიგის მენეჯერი;
2. კურატორი კოორდინირებას უწევს კლუბს მუშაობის სრულ პროცესს, მათ შორის პროფორიენტაციის პროცესის 3-დონიან შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, აკეთებს მიღებული შედეგების ანალიზს და წარუდგენს სკოლის დირექციასა და კლუბის წევრებს.

მუხლი IX. კლუბის ზოგადი ეთიკა

1.წინამდებარე დებულება არეგულირებს პროფორიენტაციის კლუბის სამუშაო ეთიკის ნორმებს და ვრცელდება ყველა წევრზე.

2.კლუბის ლიდერი და ყველა წევრი ვალდებულია იცავდეს კლუბის პრესტიჟსა და სახელს, უფრთხილდებოდეს მას და ზრუნავდეს მის განვითარებაზე, თავისი ქმედებითა თუ უმოქმედობით არ ლახავდეს მას, მოქმედებდეს მაღალი ადამიანური ღირსებით კლუბის მიერ დაკისრებული ფუნქციებისა თუ მისიის განხორციელებისას.

3.კლუბის ლიდერი და ყველა წევრი ვალდებულია იცავდეს და პატივს ცემდეს კლუბის დებულებას და დადგენილ ნორმებს, პატიოსნად და ნაყოფიერად ახორციელებდეს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, ამართლებდეს მინიჭებულ ნდობას.

4.კლუბის ყველა წევრი და ლიდერი უფლებამოსილი არიან გონივრულად ისარგებლონ და გამოიყენონ კლუბის სახელი, კლუბის პროგრამები, პროექტები, განხორციელებული საქმიანობების ანგარიშები, მათგან გამომავალი დასკვნები და მიგნებები, ლიტერატურა, საქმიანობისას გამომუშავებული სასწავლო მეთოდოლოგია, საქმიანობისას მიღებული ინფორმაცია, განხორციელებული საქმიანობის ან პროგრამის გაგრძელებები და ყველაფერი, რისი შემუშავებაც მოხდა კლუბში, წარმოადგენს კლუბის მატერიალურ და არამატერიალურ საკუთრებას.
5. კლუბის სახელის ბოროტად გამოყენება, სამუშაო პროცესში მიღებული შიდა ინფორმაციით მანიპულირება (მისი არადროული გადაცემა, დაფარვა, საჯაროდ გავრცელება) პირადი მოგების მიზნით განიხილება უხეშ დარღვევად.

მუხლი X. კლუბის სამუშაო პერიოდი

1.კლუბის სამუშაო პერიოდი ემთხევა სკოლის სასწავლო წელს;
2.კლუბი მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით;
3.კლუბის სამუშაო საათები იწყება საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ.